

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: მიშიკო ირემაძე

სამაგისტრო ნაშრომი:

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი ქართულ კონსტიტუციონალიზმში

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი:

ვახუშტი მენაბდე

თბილისი 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომის არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მიშიკო ირემაძე

2022 წელი

ანოტაცია

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოს კანონმდებლობაში პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის წარმართვის ნაირსახეობა, მასში შესული ცვლილებები, ქართული პრაქტიკა და არსებული გამოწვევები. ამასთან, ქართული კანონმდებლობა შედარებულია საერთაშორისო კანონმდებლობასთან და ევროპულ გამოცდილებასთან. მეტი თვალსაჩინოებისთვისა და სიცხადისთვის, მოყვანილია რამდენიმე ცნობილი პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი, მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები და მიღებული შედეგები. მნიშვნელოვანია უკეთ და ნათლად წარმოჩინდეს თუ რა მნიშვნელობისა და ღირებულების მატარებელია იმპიჩმენტი - შეუძლია თუ არა მას გავლენის მოხდენა ან/და შეუძლია თუ არა მას შებოჭოს პრეზიდენტის უფლებამოსილება? ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გაგება, არის კი იმპიჩმენტი პოლიტიკური იარაღი, თუ უბრალოდ ფორმალური დატვირთვა გააჩნია?

პრეზიდენტის ინსტიტუცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო რგოლია სახელმწიფოებრიობის შექმნისა და სტაბილურობის პროცესში. პრეზიდენტის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით და ამავე დოკუმენტზეა დამოკიდებული პრეზიდენტის ინსტიტუტის როლის გაზრდა ან შემცირება. მსოფლიო ისტორიას მრავლად ახსოვს შემთხვევები, როდესაც არჩეული პრეზიდენტი საკუთარ უფლებამოსილებას ცდებოდა, ან ბოროტად იყენებდა მას. სწორედ ამ შესაძლო გადაცდომის თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელმა შეიმუშავა გზა, რომლითაც შესაძლებელია პრეზიდენტის უკანონო ქმედებების შემცირება/პრევენცია, კერძოდ, იმპიჩმენტის პროცესი არის საშუალება, რომლითაც შესაძლებლობა ეძლევა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდენტის ინსტიტუტზე მოახდინოს პოლიტიკური ზეწოლა ან მოახდინოს მისი გადაყენება თანამდებობიდან.

იმპიჩმენტის პროცესი ყველა განვითარებული ქვეყნის კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. წარმოდგენილი უფლებამოსილება საშუალებას აძლევს საკანონმდებლო ორგანოს აკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება და დაიცვას კანონი უხეში დარღვევისგან, პირველი თუ სხვა თანამდებობის პირებისგან. შესაბამისად, წარმოდგენილ ნაშრომში სიღრმისეულად განვიხილავთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას, მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ შედეგებსა და საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაგალითზე, შევხებით იმპიჩმენტის პროცესთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებს, დადებით და უარყოფით მხარეებს.

Anotation

The presented master's thesis discusses the types of impeachment proceedings against the President in the Georgian legislation, the changes made in it, the Georgian practice and the existing challenges. At the same time, Georgian legislation is comparable to international legislation and European experience. For more visibility and clarity, the process of impeachment of several prominent presidents, important aspects related to it and the results obtained are given. It is important to have a better and clearer picture of the significance and value of impeachment - can it have an impact and / or can it curtail the powers of the president? However, it is important to understand, is impeachment even a political weapon, if it simply has a formal load?

The institution of the President is one of the most important and key links in the process of statehood creation and stability. The powers of the President are defined by the Constitution of Georgia and the increase or decrease of the role of the institution of the President depends on the same document. World history remembers many cases when the elected president misused or abused his authority. To avoid this possible misconduct, the legislature has developed a way to reduce / prevent the president's illegal actions, in particular, the impeachment process is a means of exerting political pressure on the institution of the president's legislature or removing him from office.

The impeachment process is an integral part of the constitution of all developed countries. The presented authority allows the legislature to control the executive and protect the law from gross violations by first or other officials. Accordingly, in this paper we will discuss in depth the procedure of impeachment of the President, the related political and legal consequences and the example of Georgia and other countries, the challenges related to the impeachment process, the pros and cons.